# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №64

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 05/12/2019 წ
სხდომის დაწყების დრო 16:28 სთ
სხდომის დამთავრების დრო 20:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ქეთევან ქოქრაშვილი
საბჭოს მდივანი - ნინო ლიპარტია
სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი; (საბჭოს თავმჯდომარე);
2. ნინო ლიპარტია - „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი; (საბჭოს მდივანი);
3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრის და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
5. სერგო ჭელიძე - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. ანა ფირცხალაშვილი - შპს -გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნიივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, პროფესორი;
9. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი;
11. თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი. |

საბჭოს თავმჯდომარე

_______________________
ხელმოწერა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | თეიმურაზ ტორონჯაძე | შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი | ბიზნესის სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 2 | ქეთევან ჯინჭარაძე | შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 3 | გიორგი სოსიაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | II, III |
| 4 | მარიკა შერაზადიშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სოციალურ-მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი | II, III |
| 5 | კახი ყურაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | II, III |
| 6 | დავით ბოსტოღანაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | II, III |
| 7 | ლევან მიდოდაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | II, III |
| 8 | ციური დურული | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | II, III |
| 9 | ნუგზარ სხირტლაძე | შპს - კავკასიის უნივერსიტეტი | ვიცე-პრეზიდენტი | IV |
| 10 | ნატო ასათიანი | შპს - კავკასიის უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 11 | ნინო ჟიჟილაშვილი | შპს - კავკასიის უნივერსიტეტი | მედიის სკოლის დეკანი | IV |
| 12 | დიანა მჭედლიშვილი | შპს - კავკასიის უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი | IV |
| 13 | გიორგი მათიაშვილი | შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | V, VI |
| 14 | გელა ალადაშვილი | შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი | V, VI |
| 15 | მამუკა თორია | შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | V, VI |

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | ლალი ჩაგელიშვილი | შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | V, VI |
| 17 | ნოდარ ბაგრატიონი | შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | V, VI |
| 18 | სიმონ (ამირან) თავართქილაძე | შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი | სამაგისტრო პროგრამის „საბანკო საქმე" ხელმძღვანელი, ბიზნესის მართვისა და ეკონომიკის კათედრის გამგე | V, VI |

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ვასილ კიკუტაძე | | I |
| 2 | ნინო ზარნაძე | | I |
| 3 | მაია მორგოშია | | I |
| 4 | სოფიო შენგელია | ჩაერთო „Viber"-ის საშუალებით | II, III |
| 5 | მაკა კარტოზია | | II, III |
| 6 | ილია წიკლაური | | II, III |
| 7 | დავით ელისაბედაშვილი | | II, III |
| 8 | თორნიკე გურული | | IV |
| 9 | ვლადიმერ მკერვალიშვილი | ჩაერთო „Skype"-ის საშუალებით | IV |
| 10 | ლელა ბახტაძე | | V |
| 11 | ანი მიხელიძე | | V, VI |
| 12 | ნინო პატარაია | | VI |
| 13 | მაია ბარამიძე | | VI |

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარე ______________________ ხელმოწერა

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „PR( პიარი) და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა
5. შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ✓ კი

ცვლილების ინიციატორი - ქეთევან ქოქრაშვილი, საბჭოს თავმჯდომარე

ცვლილების არგუმენტაცია - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" საბაკალავრო და „სამაგისტრო" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განსახილველად საჭირო კვორუმის არარსებობა.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „PR (პიარი) და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა
5. შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**1. პირველი საკითხი:** შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 07 ნოემბერი, №203 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[5] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[7] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 0160, ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №10 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ 2019 წლის 28-29 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის შედეგები წარმოადგინა. მისი თქმით, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, შემოწმდა სამაგისტრო ნაშრომები, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელდა შეხვედრები. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში ჩასწორდეს კურსის სტატუსი და გადმოვიდეს სავალდებულო საგნების ნუსხაში; ასევე, რეკომენდებულია ჩასწორდეს პრაქტიკის წინაპირობა. ექსპერტის თქმით, პრაქტიკის წინაპირობად მითითებულია სფეროს თეორიული ცოდნა და სასურველია, დაკონკრეტდეს და მიეთითოს კონკრეტული სასწავლო კურსები.

რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას, მან აღნიშნა, რომ რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით, სადაც ეს ყველაფერი დაკონკრეტებულია და სასურველია მათი გადმოტანა სილაბუსშიც.

მისი თქმით, აუცილებელია დაკორექტირდეს სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ჩანაწერი - „სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით", რომელიც დებულებაში არსებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესთან უნდა მოვიდეს შესაბამისობაში.

ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდებულია აკადემიური წერის სასწავლო კურსის სტატუსი სავალდებულოთი შეიცვალოს. ასევე, ბიზნესის კვლევის მეთოდები დამოუკიდებელ სასწავლო კურსად იქნეს შეთავაზებული, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში გაბნეულია კვლევის მეთოდების საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციებს სრულიად ეთანხმება.

მისი თქმით, პროგრამაში ის კრიტერიუმები იქნება გადატანილი, რომელზეც ექსპერტმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში კონკრეტულად არის გაწერილი ნაშრომის კრიტერიუმები, თუმცა არ არის გათვალისწინებული სილაბუსში და შესაბამისად ეს კრიტერიუმები პროგრამაში უნდა იყოს გადმოტანილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პრაქტიკის კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი სტუდენტების უმრავლესობა დასაქმებულია, შესაბამისად ეს კურსი სავალდებულო იქნება მათთვის, ვინც ჯერ არ მუშაობს პროფესიით. დაწესებულება ანალოგიურად ითვალისწინებს ბიზნესის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის არჩევით საგნად დამატება. მისი თქმით, პროგრამაში ანალოგიური შინაარსის კურსი უფრო სხვა სახელწოდებით არსებობს და მოხდება მისი მოდიფიცირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განსაკუთრებული ყურადღება ერთ-ერთ შენიშვნაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ კონცენტრაციები 2020 წლიდან შედის ძალაში და ეს შინაარსში სხვანაირად იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება**

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარე ______________________
ხელმოწერა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | სტატუსი[11] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 07 ნოემბერი, №203 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[14] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[16] | 0413 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო 0160, ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №10 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

16:39 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი - ხათუნა თოდაძე.

---

10 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
11 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
12 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
13 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
14 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
15 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
16 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
17 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
18 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

2. მეორე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | სამართალი |
| 2 | სტატუსი[20] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №231 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | სამართალმცოდნეობა |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[23] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0421 სამართალი |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[25] | 0421 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, პირველი სასწავლო კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[19] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[20] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[21] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[22] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[23] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[24] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[25] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[26] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[27] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

ნინო ლიპარტია, თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოფიო შენგელიამ წარმოადგინა აკრედიტაციის ვიზიტის შეჯამება. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა 2007 წლიდან ფუნქციონირებს და აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია 2015 წელს გაიარა.

მისი თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი 2019 წლის 13 ნოემბერს განხორციელდა და უნივერსიტეტმა დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. ვიზიტის დროს, რომელიც ერთი დღის ვადაში განხორციელდა, ჩატარდა ყველა შესაბამისი შეხვედრა, გასაუბრებებმა კი დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

ექსპერტმა სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ აღნიშნა, რომ პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 სტანდარტები შესაბამისია, მე-3 სტანდარტი კი მეტწილ შესაბამისობაშია.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, მისი განმარტებით, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი გაძლიერებას მოითხოვს. არსებული ადმინისტრაციული რესურსი, სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, არასაკმარისია და შესაძლებელია დაწესებულების მხრიდან აღნიშნულის უკეთესად განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ექსპერტმა რჩევების შესახებ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია პროგრამა არჩევითი საგნების სამართლის ფაკულტეტის გარდა სხვა ფაკულტეტებიდან არჩევის შესაძლებლობასაც ითვალისწინებდეს. ასევე, უმჯობესი იქნება თუ დაწესებულება სტუდენტებს შესთავაზებს პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლას. მისი თქმით, მაგისტრატურის საფეხურზე ეს პრაქტიკა უკვე არსებობს და სასურველია, ბაკალავრებსაც მიეცეთ მსგავსი შესაძლებლობა. ასევე, სასურველი იქნება, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროფესორების მოწვევა, ერთობლივი პროექტების განხორციელება და სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად, გარკვეული მექანიზმების შემუშავება, იმისთვის, რომ სტუდენტებმა აქტიურად ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით. ასევე, სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შედეგების გასაჩივრებისთვის შეიმუშავოს უფრო მეტად მოქნილი მექანიზმი. ექსპერტის მოსაზრებით, მიზანშეწონილია: სტუდენტთა შეფასებები ყოველკვირეულად აისახოს ელექტრონულ ბაზაში, სტუდენტების ელექტრონული გვერდის მოდიფიცირება და არჩევითი და სავალდებულო საგნების არჩევის მექანიზმით, თუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერის ფუნქციით აღჭურვა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისთვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა ექსპერტებს მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ თითოეული გარე შეფასება უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, ვინაიდან ექსპერტთა მხრიდან მხოლოდ ერთი რეკომენდაცია გაიცა, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას აუცილებლად განხორციელებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა საკონსულტაციო მექანიზმი მუშაობს და რა თქმა უნდა, მის გასაძლიერებლად ყველაფერი გაკეთდება. რაც შეეხება რჩევებს, რჩევები მისაღებია და დაწესებულება მათი გათვალისწინების მიმართულებით იმუშავებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ექსპერტებს კითხვით მიმართა და დაინტერესდა, თუ ისეთი რა პრობლემა დაინახეს, რომ გასცეს რეკომენდაცია და არა რჩევა.

ექსპერტმა, დავით ელისაბედაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ასეთ სერვისებს იღებენ, თუმცა ეს იმის შედეგია, რომ ადმინისტრაციული პერსონალი კეთილგანწყობილია და ეს დოკუმენტურადაც დადასტურებულია, თუმცა მიუხედავად ამისა, ასეთი სისტემური კონცეფცია და კონკრეტული სივრცე კონსულტაციებისთვის, არ არსებობს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით უნდა არსებობდეს კონცეფცია და შესაბამისი ბაზა მთლიანი უნივერსიტეტისთვის. არსებული ბაზები ითვალისწინებს საკონსულტაციო სერვისის მიღებას ცენტრალიზებულ სისტემაში, დაწესებულებას კი დისტანციური სერვისების გაძლიერებაც სჭირდება, რადგან ბევრი სტუდენტი სოფლებიდან დადის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არ არის დიდი მოცულობის დაწესებულება, შესაბამისად მათი ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტთა კონსულტირების პროცესს სრულიად ართმევს თავს. მისი თქმით, დაწესებულებას გააჩნია სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომლის დებულებაშიც გაწერილია მისი პროფილი და საქმიანობა. გარდა ამისა, ფაკულტეტის დეკანისა და სპეციალისტების პირდაპირი მოვალეობაა სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა და ეს ყველაფერი ხელშეკრულებაშიც გაწერილია. მან თქვა, რომ პროგრამაზე ამჟამად 450 სტუდენტია, შესაბამისად, დაწესებულებას ამ ფუნქციისთვის თავის გართმევა არ უჭირს.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი სოსიაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ნამდვილად გასათვალისწინებელია, რადგან ეს ყოველდღიურად განვითარებადი საკითხია და მას აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, თუ საიდან არიან ძირითადად სტუდენტები და არიან თუ არა მათ შორის ახალგაზრდები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა უპასუხა, რომ სტუდენტთა შორის საოკუპაციო ხაზიდანაც არიან სტუდენტები.

საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის აზრით, სახელმწიფოებრივი გადმოსახედიდან ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია და საჯარო ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მისი თქმით, რეგიონულ უნივერსიტეტებს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ და მან დაწესებულებას მადლობა გადაუხადა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკმაოდ ბევრი ადამიანია, რომლებიც პროფესორებად მიდიან თბილისიდან რეგიონებში. ეს უნივერსიტეტები კი, არსებული მიგრაციის პირობებში, ამ ქალაქებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ახალგაზრდობის ადგილზე დარჩენას უწყობს ხელს. მისი თქმით, მას მაკროეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ეს მიმართულება ადგილობრივი კადრების დასაქმების ფუნქციასაც ითავსებს. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კი საკმაოდ მაღალია რეგიონში. პროგრამა კი არაფრით ჩამოუვარდება თბილისში განხორციელებულ პროგრამებს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ აბიტურიენტები მავთულხლართებზე იმისთვის გადმოდიან, რომ საქართველოში ისწავლონ. მისი აზრით, ასეთ უნივერსიტეტებს ხელი უნდა შეეწყოს.

საბჭოს წევრის, ნიკოლოზ ჯავახიშვილის თქმით, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შემდეგ ის ძალიან კმაყოფილი დარჩა განათლების მიმართ მიდგომების კუთხით.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა მოეწონა, რადგან საკმაოდ საინტერესო კურსებია შემოთავაზებული, თუმცა ის დააკლდა, რომ საბაკალავრო პროგრამაში „პროფესიული ეთიკა" არ არის გაწერილი. გარდა ამისა, იგი დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა ადმინისტრაციული სამართლის კურსის ორ ნაწილად გაყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბოსტოღანაშვილმა უპასუხა, რომ ეს საკითხები რამდენიმე კურსშია ინკორპორირებული, მაგალითად იმიტირებული სამართლის კურსში. მისი თქმით, დარგობრივი სტანდარტი იქნება, თუმცა აზრთა ერთიანობა იქაც არ არის იმის შესახებ, რომ ეთიკის საკითხები ცალკე საგნად უნდა ისწავლებოდეს თუ სხვა კურსებში უნდა იყოს ინკორპორირებული. შესაბამისად, მათთვისაც საინტერესო იქნება რაზე შეჯერდება ეს ჯგუფი. მან ასევე აღნიშნა, რომ ეთიკის ყველა ასპექტთან მიმართებაში შეეცდებიან, რომ დარგობრივ სტანდარტში მის შესატანად ყველაფერი გაკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამას დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად ვერ გადაახალისებს. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, სწორედ ამიტომ, ამ პროცესში რეალურად ჩაერთო როგორც ადმინისტრაციული პერსონალი, ისე სტუდენტები. მისი თქმით, არიან სტუდენტები, რომლებმაც ადმინისტრაციული სამართალი ისწავლეს, თუმცა პრაქტიკაში ეს თეორიული ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადმინისტრაციული სამართალი გაყოფილიყო ორ, მმართველობით და ადმინისტრაციული წარმოებით ნაწილად.

საბჭოს წევრმა, სალომე თოთიბაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და აღნიშნა, რომ პერსონალის პირად საქმეში ბევრგან წერია, რომ ინგლისური საშუალო დონეზე ან ლექსიკონის დახმარებით იციან, შესაბამისად იგი დაინტერესდა, უშლიდა თუ არა ეს პერსონალს ხელს სასწავლო

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პროცესის განხორციელებაში, მაშინ, როდესაც სტუდენტებს ინგლისური ენის ცოდნა მოეთხოვებათ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სრულებით ყოფნის 20-30 სტუდენტს ყოველწლიურად, სასწავლო პროცესი კი იმდენად დეტალური და ინტერაქციულია, რომ პერსონალის მხრიდან ინგლისური ენის არცოდნა გამორიცხულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მის პერსონალზე მუდმივად ზრუნავს, რაც იმით გამოიხატება, რომ ხდება მათი პერმანენტული გადამზადება ინგლისურ ენაში, თავად პერსონალი კი მუდმივად მუშაობს საკუთარი თავის განვითარების კუთხით.

საბჭომ დაადგინა, რომ ექსპერტთა დასკვნაში ტექნიკური ხარვეზია, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს, ვინაიდან შესაბამისი ქვესტანდარტები არ არის მონიშნული. ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ ტექნიკურ ხარვეზს აქვს ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

- ✓ საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მესამე სტანდარტი „მეტწილად შესაბამისად“ შეფასდა, ვინაიდან, 3.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც: „სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს, თუმცა მოითხოვს გაძლიერებას. უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე არსებული ადმინისტრაციული რესურსი შეიძლება ნაკლებ საკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშაოს სპეციალური თანამშრომლების აყვანის, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.

საბჭომ, საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად დაადგინა, რომ 3.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია რჩევის ხასიათის მატარებელია. საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევების ნაწილში უნდა იქნეს გადატანილი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, 3.1 ქვესტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობისა“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად, შეიცვალა მე-3 სტანდარტის შეფასებაც და იგი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | სამართალი |
| 2 | სტატუსი[29] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №231 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30] | სამართალმცოდნეობა |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[31] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[32] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0421 სამართალი |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[34] | 0421 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[35] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, პირველი სასწავლო კორპუსი |

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37] | სამართალი |
| 2 | სტატუსი[38] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №234 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39] | სამართალი |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[40] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[41] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სამართლის მაგისტრი/Master of Law |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0421 სამართალი |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[43] | 0421 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 13 | განხორციელების ადგილი[44] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, პირველი სასწავლო კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

ნინო ლიპარტია, თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, დავით ელისაბედაშვილმა სამაგისტრო პროგრამის ვიზიტის შეჯამება წარმოადგინა და აღნიშნა, რომ სამაგისტრო ეტაპი არის ის ეტაპი, როდესაც სტუდენტს ბიბლიოთეკა და რესურსები სჭირდება, შესაბამისად, ეს მოცემულობა ჩაიწერა რეკომენდაციის სახით, რომ შეთავაზებული ყოფილიყო

---

[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხვადასხვა რესურსების ბაზები. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომები კარგია, თუმცა უმჯობესი იქნებოდა რაიმე სამეცნიერო სიახლე.

ექსპერტმა 3.1. ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომ მასში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დასკვნითი შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებით იგივე სტუდენტური სერვისებია აღნიშნული. ექსპერტთა თქმით, სტუდენტებმა შეხვედრების დროს ძალიან მაღალი დონე აჩვენეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებთან მუშაობა ნამდვილად სასიამოვნო იყო და მათ გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც მან აღნიშნა, ძირითადად, ექსპერტთა მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას ითვალისწინებენ, რადგან პროგრამის რეალიზაციის ხარისხის აწევაზე არიან ორიენტირებულნი.

დაწესებულების წარმომადგენელმა 4.3. ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის რექტორი უკვე შეხვდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს და ისინი მათი უნივერსიტეტებისთვის ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფის საკითხში ერთობლივად ჩაერთვებიან. სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენის შესახებ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო როგორც დაბალ, ისე მაღალშეფასებიანი ნაშრომები. პოლემიკა კი დასკვნითი შეფასების გასაჩივრების წესმა გამოიწვია, რომელიც კოლეგიური წესით ფასდება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფინალურ გამოცდაზე კომისია ზეპირი ნაწილის ჩაგდებას ცდილობდა და პრობლემა სწორედ გასაჩივრების საკითხმა გამოიწვია. სამაგისტრო ნაშრომის დროს შეფასება სტუდენტის აუდიტორიასთან წარდგენისა და დისპუტის უნარი იკვეთება. პროცედურული დარღვევის შემთხვევაში კი შესაძლებელია შეფასების გასაჩივრება, რისი უფლებაც მაგისტრანტს ყოველთვის აქვს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტანდარტში მითითებულია მხოლოდ გასაჩივრების უფლება, რომელიც განმარტებას საჭიროებს და დაინტერესდა, ადმინისტრაციული წარმოების წესის მიხედვით, თუ რატომ ეძლევა სტუდენტს საჩივრის მხოლოდ ერთხელ წარდგენის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ 2.6 სტანდარტთან დაკავშირებით ემსჯელათ, რომ ამ სტანდარტის შეფასებას არ ჰქონოდა რეკომენდაციის სახე და შესაძლებელი ყოფილიყო მისი მოდიფიცირება, ან დრო მიეცათ იმისთვის, რომ გამოეკვლიათ როგორ შეიძლება ზეპირი მოსმენის გასაჩივრება, რადგან თუ ეს რეკომენდაციის სახით დარჩება, მაშინ აუცილებელი იქნება შესრულების ანგარიშის წარმოდგენა. ამ პროცედურაზე მსჯელობის დროს კი პროგრამის ხელმძღვანელისგან იყო გაცემული დავალება, რომ მოეძებნათ გასაჩივრების პროცედურის ანალოგიური შემთხვევა, თუმცა პრეცენდენტი ვერ მოინახა.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, დაწესებულებას აქვს თუ არა ანტიპლაგიატის პროგრამა და თუ იყენებენ მას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ანტიპლაგიატის პროგრამა დაწესებულების მიერ გამოიყენება და ხდება ნაშრომის არამხოლოდ ტექნიკური, არამედ შინაარსობრივი შემოწმებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც წარმოდგენილი ნაშრომი იგზავნება პროგრამაზე შესამოწმებლად, იქიდან იმის პროცენტული მაჩვენებელი მოდის, თუ რა რაოდენობით იქნა აღმოჩენილი პლაგიატი, შემდეგ კი პროგრამის ხელმძღვანელი მას ადაპტირებას უკეთებს, შინაარსობრივად გადაარჩევს და მხოლოდ ამის შემდეგ უგზავნის ფაკულტეტს.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭომ დაადგინა, რომ ექსპერტთა დასკვნაში ტექნიკური ხარვეზია, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს, ვინაიდან შესაბამისი ქვესტანდარტები არ არის მონიშნული. ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ ტექნიკურ ხარვეზს აქვს ადგილი.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:34 სთ

დამთავრების დრო - 17:43 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46] | სამართალი |
| 2 | სტატუსი[47] | აკრედიტებული |

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №234 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48] | სამართალი |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[49] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[50] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სამართლის მაგისტრი/Master of Law |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0421 სამართალი |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[52] | 0421 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[53] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N53, პირველი სასწავლო კორპუსი |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

**4. მეოთხე საკითხი:** შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „PR (პიარი) და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55] | PR (პიარი) და კომუნიკაცია |
| 2 | სტატუსი[56] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №238 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57] | PR (პიარი) |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[58] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[59] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[61] | 07 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[62] | საქართველო 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. N01 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

---

55 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

56 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

57 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

58 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

59 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

60 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

61 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

62 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

63 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა წარმოადგინა ვიზიტის შეჯამება და აღნიშნა, რომ პროგრამა საქართველოში არსებული საუკეთესო რესურსის საფუძველზე შერჩეული და შედგენილი. სუსტ მხარეებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია დარგობრივ ლიტერატურას შეეხება და მნიშვნელოვანია მისი განახლება, რადგან ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ სხვადასხვა კურსებში ხშირად ერთი და იგივე ლიტერატურა იყო მითითებული და ხდებოდა საგნების გადაფარვა.

მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსებში ადაპტირებული იყოს საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, ეთიკის კოდექსი, რომელიც ამ დარგში დასაქმებულთათვის განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

ექსპერტთა მიერ გაცემული შემდეგი რეკომენდაცია ეხება კრედიტების ერთსა და იმავე რაოდენობას კურსებზე დატვირთვის მიუხედავად. გარდა ამისა, ექსპერტის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს დარგობრივ პროფესორთა რაოდენობა და პროგრამა ახალ კლასიფიკატორთან მოვიდეს შესაბამისობაში. მისი თქმით, კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით, რომელიც 2020 წელს შევა ძალაში, ამ პროგრამის კურსდამთავრებულთათვის შეუძლებელი იქნება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭება, ისევე როგორც მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭება და ეს საკმაოდ პრობლემატური საკითხია. ე.ი ძირითადი პრობლემა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი ამ პროგრამასთან მიმართებაში წააწყდა, ის არის, რომ პროგრამა ახალ კლასიფიკატორს არ შეესაბამება.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 4 წლის განმავლობაში პროგრამა შეიცვალა და პროგრესული გახდა, ვინაიდან განახლდა დარგისთვის აქტუალური სასწავლო ლიტერატურით, გათვალისწინებული იქნა როგორც დამსაქმებელი, ისე სტუდენტი, გაიზარდა დარგობრივი სასწავლო კურსები, პერსონალის რაოდენობა და პრაქტიკის კომპონენტი, რაც მისი აზრით ძალიან მისასალმებელია.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ კრედიტებთან დაკავშირებით ეს საკითხი კონფერენციაზე დაისვა და ცნობილი უცხოელი ექსპერტის მხრიდან აღნიშნა, რომ არსებობს სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც ხდება კრედიტების გადანაწილება დატვირთვის შესაბამისად და უნივერსიტეტი ამ საკითხთან მიმართებაში თავად აკეთებს არჩევანს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ არსებობს დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ კრედიტების მინიჭება ხდება იმის მიხედვით, თუ რა დატვირთვა აქვს სტუდენტს და რა მასალის, შრომის გაწევა უწევს მას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟიჟილაშვილმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში საკმაოდ საინტერესო პროცესი იყო, რეკომენდაციათა უმრავლესობა კი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა, სამოქმედო გეგმაში საკმაოდ ადვილად ასასახი აღმოჩნდა. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, დაწესებულებამ ისინი არ გაიზიარა და საკუთარი პოზიცია შესაბამისი არგუმენტირებული პასუხით განმარტა.

პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ პირველი რეკომენდაცია მისაღებია, რომელიც დაწესებულებისთვის უპირველესი ამოცანაა. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ცდილობს გამოიყენოს მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაშია გამოცემული. მისი თქმით, ცვლილებები შევიდა „რეკლამის ფსიქოლოგიის" სილაბუსშიც და გამდიდრდა სამეცნიერო ნაშრომებით. ასევე ცვლილებები შევიდა პიროვნების „ტიპოლოგიისა და ნეიროლინგვისტიკის" სილაბუსშიც.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მან განმარტა, რომ დაწესებულებისთვის ეს რეკომენდაციაც მისაღები და მნიშვნელოვანია, შესაბამისად, დაწესებულებამ პრაქტიკულად თავიდან შეისწავლა ყველა მომიჯნავე დარგის სილაბუსი და აღმოფხვრა არსებული გადაფარვები, დასტურად კი, საბჭოს სხდომაზე აღნიშნული სილაბუსები წარმოადგინა.

მისი აზრით, მომიჯნავე საკითხების გამეორება კურსებში პრობლემას არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა კონტექსტი იქნება გათვალისწინებული. ასევე, მან აღნიშნა, რომ ეთიკის საკითხების დამატებასთან დაკავშირებით საზოგადოებასთან ურთიერთობის სილაბუსის ავტორთანაც გაიმართა კონსულტაციები. ადამიანური რესურსების ნაწილთან დაკავშირებით კი თქვა, რომ ის ცალკე კურსადაც ისწავლება, თუმცა შიდა კომუნიკაციის გაძლიერება მნიშვნელოვანი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომ დარგობრივ საგნებს დატვირთვის მიხედვით მიენიჭება - 6 კრედიტი, ხოლო შედარებით პრაქტიკულ საგნებს - 4 კრედიტი. მან დარგობრივი პროფესორების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პერიოდულად ცხადდება ხოლმე კონკურსი. მაგალითად, მიმდინარე წელს კონკურსი უკვე ორჯერ გამოცხადდა. ასევე, კიდევ ერთი კონკურსი გამოცხადდება პროგრამაზე, რომლის შედეგადაც პროგრამისთვის შეირჩევა პროფესორები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ბუნებრივია კლასიფიკატორთან შეთანხმება ჯერ ვერ მოხერხდებოდა, რადგან პროგრამა არ იყო ახალი. მან თქვა, რომ 2020 წლისთვის დაწესებულებას ისედაც მოუწევს ყველა პროგრამის გადახედვა და ხელახალი აკრედიტაცია, შესაბამისად მოხდება ამ პროგრამის შემოტანაც.

საბჭოს წევრის, ნინო ლიპარტიას თქმით, აღნიშნული პროგრამა ძალიან საჭიროა, თუმცა, მისი აზრით, პროგრამას სამართლებრივი რეგულირების ნაწილი აკლია. მან აღნიშნა, რომ დღესდღეობით

საბჭოს თავმჯდომარე

____________________

ხელმოწერა

მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება, მედიასამართალი. მართალია, პროგრამა გამოხატვის თავისუფლებას ითვალისწინებს, თუმცა ის არაა მორგებული იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს ამ სფეროში არსებობს. საბჭოს წევრმა მაგალითად სულ ახლახან გამოცემული წიგნი - „სოციალური მედიის სამართალი“ მოიყვანა და მიუთითა, რომ ამ ნაწილში სამართლებრივი კომპონენტის გაძლიერება ან დამატება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ამას გულისხმობდნენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რეკლამის თეორიისა და პრაქტიკის ნაწილში. რაც შეეხება საბჭოს წევრის მიერ გაცემულ რჩევას, მან აღნიშნა, რომ ეს ნაწილი უკვე შეტანილია სილაბუსში და მასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია, მაგალითად, „ციფრული მარკეტინგის“ სილაბუსში, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ამ კუთხით პროგრამას გააძლიერებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „PR (პიარი) და კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება

- ✓ აკრედიტაციის შესახებ
- ☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
- ☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
- ☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3[1] პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 3[1] პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „PR (პიარი) და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[64] | PR (პიარი) და კომუნიკაცია |
| 2 | სტატუსი[65] | აკრედიტებული |

[64] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[65] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №238 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[66] | PR (პიარი) |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[67] | ბაკალავრიატი |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[68] | მეექვსე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[69] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[70] | 07 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 13 | განხორციელების ადგილი[71] | საქართველო 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. N01 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[72] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

18:10 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა - ანა ფირცხალაშვილმა.

---

66 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

67 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

68 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

69 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

70 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

71 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

72 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

5. მეხუთე საკითხი: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[73] | საბანკო საქმე |
| 2 | სტატუსი[74] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2019 წლის 18 იანვარი, №16 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[75] | საბანკო საქმე |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[76] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[77] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[78] | „------„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[79] | 020401 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[80] | საქართველო 0101, ქ. თბილისი, სამღერეთის ქ.№ 5, |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[81] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[73] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[74] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[75] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[76] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[77] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[78] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[79] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[80] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[81] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

სერგო ჭელიძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, ლელა ბახტაძემ საბჭოს წევრებს წარმოუდგინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გაცემული რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა. მისი თქმით, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა, რადგან ინგლისური ენის ცოდნა აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა. ასევე, ექსპერტის მოსაზრებით, სასურველია, პროგრამაზე შემოთავაზებული იყოს ინგლისურენოვანი კურსები. გარდა ამისა, სასურველია საბანკო საქმის სასწავლო კურსში საბანკო სფეროსთან დაკავშირებული სიმულაციური თამაშები იქნეს გათვალისწინებული, სტუდენტებს კი სამეცნიერო ნაშრომები და ლიტერატურა შესთავაზონ სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად.

შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი ჩაგელიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და იმ აკადემიური და კოლეგიური ურთიერთობისთვის, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გამოავლინა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციებს იზიარებს. ლიტერატურის შესახებ კი თქვა, რომ მიმდინარე პერიოდში დაწესებულება მუშაობდა სილაბუსების ავტორებთან ერთად და აღნიშნული ლიტერატურა უკვე განახლებულია.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა ექსპერტებს მიმართა და თქვა, რომ პროგრამას მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია და საინტერესო იქნება, თუ უფრო დეტალურად განიმარტება, განვითარების რა ეტაპები გაიარა პროგრამამ, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ნამდვილად დიფერენცირებულია. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დაემატა სპეციალობის სასწავლო კურსები და შეიცვალა ცალკეული სასწავლო კურსების სტატუსები. ასევე, პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი 40 კრედიტად ჩამოყალიბება. თუმცა, ამ თვალსაზრისით ექსპერტებმა მაინც არსებითად მიიჩნიეს ის, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციები გაიცა. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს და აკადემიურ პერსონალს, მან აღნიშნა, რო შეიძლება საკმაოდ დადებითად შეფასდეს.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, როგორი შთაბეჭდილება დატოვა სამაგისტრო ნაშრომებში წყაროს დამოწმების ნაწილმა და სტუდენტებს თუ ჰქონდათ უცხოენოვანი წყაროები გამოყენებული, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ გამოყენებულ ლიტერატურაში ინგლისურენოვანი წყაროები საკმაოდ მწირი რაოდენობით იყო წარმოდგენილი და სტუდენტები, ძირითადად ქართულენოვან ლიტერატურას ეყრდნობოდნენ. თუმცა, ისიც აღნიშნეს, რომ წყაროები მითითებული სფეროსთვის რელევანტური იყო. რაც შეეხება ლიტერატურის გაფორმების სტილს, აღნიშნეს, რომ დასახვეწია, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გაფორმების სტილის შესახებ თვითშეფასების ანგარიშშიც არის საუბარი და ნახსენებია, როგორც ერთ-ერთი განსავითარებელი მხარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- ✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საბანკო საქმის“ სამაგისტრო

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[82] | საბანკო საქმე |
| 2 | სტატუსი[83] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2019 წლის 18 იანვარი, №16 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[84] | საბანკო საქმე |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[85] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[86] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[87] | „------„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[88] | 020401 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[89] | საქართველო 0101, ქ. თბილისი, სამღერეთის ქ.№ 5, |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[90] | - |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[82] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[83] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[84] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[85] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[86] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[87] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[88] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[89] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[90] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

6. მეექვსე საკითხი: შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[91] | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი |
| 2 | სტატუსი[92] | აკრედიტებული |
| 3 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2019 წლის 18 იანვარი, №17 |
| 4 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[93] | საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი |
| 5 | უმაღლესი განათლების საფეხური[94] | მაგისტრატურა |
| 6 | კვალიფიკაციის დონე[95] | მეშვიდე |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[96] | „----„ |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 10 | კვალიფიკაციის კოდი[97] | 020307 |
| 11 | სწავლების ენა | ქართული |
| 12 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 13 | განხორციელების ადგილი[98] | საქართველო 0101, ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5 |
| 14 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 15 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის | - |

[91] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[92] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[93] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[94] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[95] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[96] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[97] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[98] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| | წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[99] | |
| 16 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

სერგო ჭელიძე

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ ვიზიტი 2019 წლის 25 ოქტომბერს განხორციელდა და თქვა, რომ აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე სტანდარტი ნაწილობრივაა შესაბამისი, მესამე სტანდარტი შესაბამისია, ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტები - მეტწილად შესაბამისია. მან რეკომენდაციების შესახებ აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია არის პროგრამის მიზნების რეფორმულირება და პროგრამის მიზნებისა და შედეგების განმახორციელებელი აქტივობების უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებში იდენტიფიცირება. მისი აზრით, რეკომენდაციების მიხედვით, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მეტად გაზომვადი გახდეს, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნების განმახორციელებელი მექანიზმები. ასევე, შესწავლილ იქნეს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები და სწავლის შედეგები შეფასდეს სტუდენტებისა და დამსაქმებლების მხრიდან. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, აუცილებელია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისა და გაზომვის მიმართულებით ჩაუტარდეს ტრენინგები, სპეციალობის შიდა გამოცდის საკითხები დაუახლოვდეს

[99] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

პროგრამის სპეციფიკას და უცხო ენის შესაბამისი გამოცდის ჩატარება გაიწეროს სავალდებულოდ. ექსპერტის თქმით, რეკომენდებულია ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების გათვალისწინება, ასევე, უნდა გადაიხედოს: პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სასწავლო კურსების წინაპირობები საგნების უკეთესად სწავლების მიზნით, პროგრამის ფარგლებში უცხო ენის სწავლების საკითხი.

მან დამატებით ისიც აღნიშნა, რომ სტუდენტების შეფასების სისტემა უნდა მოერგოს სამაგისტრო საფეხურს და ჩანაცვლდეს ანალიტიკური დავალებებით; ასევე, გადაიხედოს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა და შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტის დატვირთვასთან. ექსპერტმა ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ აუცილებელია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი მხარე, მემორანდუმები უნდა გაფორმდეს რელევანტურ საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებთან, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართულობა რელევანტურ პროექტებში. მისი თქმით, უნდა გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, ელექტრონული ბაზების ცოდნის ამაღლებასთან დაკავშირებით დაიგეგმოს სემინარები, პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა გააძლიეროს კვლევის ხელშეწყობა, განსაკუთრებით საერთაშორისო მიმართულებით. ასევე, როგორც მან აღნიშნა, სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს ხარისხის მექანიზმების განხორციელებას და დაემატოს გარე შეფასების კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა ექსპერტებს მიმართა და აღნიშნა, რომ გასულ წელს პროგრამას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა, თუმცა, წელს წარმოდგენილი დასკვნა ისევ ძალიან მძიმეა, ამიტომ დაინტერესდა ექსპერტთა აზრით, პროგრამამ ამ ერთი წლის მანძილზე თუ განვითარების რა გზა განვლო, რაზეც ექსპერტმა, ნინო პატარაიამ უპასუხა, რომ პროგრამა ნამდვილად შეცვლილია და წინა ექსპერტთა რეკომენდაციები ძირითადად განხორციელებულია. თუმცა, სხვა საკითხებზე ყურადღება არ გამახვილებულა. მისი თქმით, ძირითადი ძალისხმევა იმ რეკომენდაციების შესრულებაზე იყო მიმართული, ახალი რეკომენდაციები კი წინა დასკვნაში ძირითადად არ იყო აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მოცემულ დასკვნას დეტალურად გაეცნო და უნივერსიტეტის პოზიცია გარკვეულწილად განსხვავებულია. მისი თქმით, ის რეკომენდაციები, რაც წინა წელს გაიცა, პროგრამაში უკვე ასახულია, შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ახლანდელი შეფასება ცოტა მკაცრია. მან აღნიშნა, რომ პროგრამას სულ ერთი წელი ჰქონდა აკრედიტაცია, შესაბამისად დაწესებულებამ დეტალურად იმუშავა იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც წინა დასკვნაში იყო მოცემული. იმ საკითხების შესახებ კი, რომლებიც წინა ექსპერტთა ჯგუფმა მისაღებად მიიჩნია, ექსპერტთა ახალ ჯგუფს ყურადღება აღარ გაუმახვილებია. მისი თქმით, წინა შეფასების დროს პირველი სტანდარტი, რომელიც პროგრამის მიზნებისა და შედეგების საკითხებს ითვალისწინებს, ორივე ქვესტანდარტით მეტწილ შესაბამისობაში იყო. მიზანი არის ის ძირითადი მინიშნება, რაზეც პროგრამაა აგებული, ხოლო კონკრეტიკა სასწავლო კურსებსა და სხვა დოკუმენტაციაში უნდა იყოს წარმოდგენილი. ასევე, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მოცემული პროგრამა იძლევა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციას საერთაშორისო სამართალში. აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსებში წარმოდგენილი შედეგები მიზნებში გამსხვილებული სახითაა შესული. ამას ადასტურებს პროგრამასთან თანდართული მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა ძველი სტანდარტით იყო წარმოდგენილი, მათ არ წარმოუდგენიათ ე.წ. რუბრიკები. თუმცა, ეს არ ყოფილა მოთხოვნილი. არგუმენტირებულ დასკვნაში მოყვანილია 1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებული აქტივობები; კერძოდ: საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობა, ნაშრომების საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნება და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით კი, ნორმატიული პოლიტიკის დოკუმენტებში დაწვრილებითი აქტივობები ვერ

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

იქნებოდა ასახული. რაც შეეხება დოკუმენტაციის სტილისტურ გამართვას, ექსპერტთა ჯგუფმა ეს ხისტ ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნია.

ექსპერტმა, ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ბევრ ვიზიტზე ყოფილა და დოკუმენტაციაში მსგავსი შინაარსობრივად გაუმართავი წინადადებები არ უნახავს. მისი თქმით, დოკუმენტაციაში ძალიან ბევრი შეცდომაა, მაშინ, როდესაც ეს პროგრამის ხარისხის პირველი მაჩვენებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხების შესახებ ინტერვიუს დროს იყო საუბარი და ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვალა. რაც შეეხება პროგრამას, მისი აზრით, იქ არცთუ ბევრი გაუმართავი წინადადებაა. გარდა ამისა, შრომის ბაზრის ანალიზი დეტალურად არის წარმოდგენილი დანართის სახით და გაწერილია ის მეთოდები, რომლებიც პროგრამის შემდგენელთა მიერ იქნა გამოყენებული. გარდა ამისა, დაწესებულებამ გამოიყენა ფორბსის მონაცემები, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება, შესაბამისად, სწორედ ამის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც თან ერთვის ხოლმე ანალიზს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ძალიან ბევრი დოკუმენტი ჰქონდა შექმნილი, უბრალოდ კონკრეტული ბმა არ ჩანს, თუ რა ნაწილების საფუძველზე მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კეთდება შრომის ბაზრის ანალიზი, რომლის საფუძველზეც ვლინდება თუ რომელი სპეციალისტები არიან ყველა მოთხოვნადი შრომის ბაზარზე. აღნიშნული კი ბოლო კვლევებში კარგად ჩანს და შესაბამისად, ეს იყო პროგრამის რელევანტურობის საფუძველი. ბიზნესის სფეროში არ არის დარგობრივი ჩარჩო- დოკუმენტი, შესაბამისად, მისი აზრით, ასე მკაცრად განსაზღვრა არ შეიძლება. ის ფაქტი კი, რომ მენეჯერები საჭიროა, მით უმეტეს საერთაშორისო კომპანიებში, ეს ბოლო კვლევებმა კარგად აჩვენა.

ნინო პატარაიას თქმით, გადახედეს მემორანდუმებსაც და საერთაშორისო კომპანია მათ შორის ძალიან ცოტაა. შესაბამისად, საკმაოდ რთულია ამის განსაზღვრა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ეს ბმა ყველა მხრიდან უნდა იყოს დანახული და თვალსაჩინო უნდა იყოს, თუ როგორ ხდება კვლევის შედეგების გამოყენება და გაანალიზება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი ჩაგელიშვილმა კი განმარტა, რომ ანალიზი სწორედ იმისთვის კეთდება, რომ არ დარჩეს ფურცელზე და მოხდეს მისი პრაქტიკაში გამოყენება. ყოველივე ეს კი ასახულია სწორედ დასკვნებსა და რეკომენდაციებში, რომლებიც ყოველ წელს კეთდება. შემდეგ კი ამის საფუძველზე იწყება პროგრამის მოდერნიზაცია და განახლება. რაც შეეხება დამსაქმებლებს, მან აღნიშნა, რომ საქართველოს პირობებში რთულია ისეთი დამსაქმებლების მოძებნა, რომლებიც 3-4 თვის განმავლობაში უზრუნველყოფენ პრაქტიკას სტუდენტებისთვის, თუმცა, მისი თქმით, ყველაფერს აკეთებენ ამისთვის და ვერ იტყვის, რომ მათი სტუდენტები ამას მოკლებულნი არიან. მან მაგალითად ის კომპანიები მოიყვანა, სადაც მათი სტუდენტები პრაქტიკებს გადიან. ეს კომპანიებია: ჯინო ფერედაისი, ჰაინეკენი, ემზავუდი და ა.შ. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ სტუდენტები მოდიან B ტიპის ტესტით, რაც ნიშნავს, რომ მათ გარკვეული ტიპის გამოცდა უკვე გაიარეს. ასევე, ტარდება წინასწარი ტესტირება, რომელშიც საკითხები შედის ბიზნესის ადმინისტრირებიდან, საერთაშორისო ბიზნესიდან და მიკრო და მაკრო ეკონომიკიდან, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს გარკვეული საბაზო ცოდნა უკვე აქვს, რაც მას პროგრამის დაძლევაში დაეხმარება. მან ინგლისური ენის შესახებ აღნიშნა, რომ მათი სტუდენტები ბაკალავრს B2 დონით ამთავრებენ. ინსტიტუციას შეუძლია არც კი შეამოწმოს სტუდენტის ცოდნა და უკვე მასზეა დამოკიდებული შეძლებს თუ არა პროგრამის დაძლევას, თუმცა, ენების ევროპული ჩარჩოს მიხედვით შექმნილი ტესტირება მაინც უტარდებათ. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონეს, ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ სრულიად რეზისტენტულია.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

ნინო პატარაიას თქმით, სილაბუსებშიც იყო ეს პრობლემა, რადგან ბევრგან შეხვდათ რუსულენოვანი ლიტერატურა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ჰყავდათ ისეთი სტუდენტები რომელთაც რუსული ენა  ჩააბარეს და სწორედ ამის გამო მოხდა რუსულენოვანი ლიტერატურის დამატება.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, სამაგისტრო ნაშრომებში ინგლისურ ენას რა პროცენტული წილი უკავია, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მან კვლავ კითხვით მიმართა ექსპერტს და იკითხა, თუ რამდენად ახალი და რელევანტურია ქართულენოვანი ლიტერატურა, რაზეც ნინო პატარაიამ მიუგო, რომ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას მათ ვერ დაადასტურეს ბაზების გამოყენება, თუმცა სტუდენტების მხრიდან ბაზების გამოყენების ფაქტები დადასტურდა, შესაბამისად, ინტერვიუების შედეგები ერთმანეთს არ დაემთხვა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს უცნაურად მოეჩვენა ის ფაქტი, რომ ნაშრომის შინაარსზე მხოლოდ 30 ქულა, ხოლო 70 პრეზენტაბელურობასა და დაცვაზე მოდიოდა.

შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა თორიამ, აღნიშნა, რომ მოხდა პროგრამის როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული სრულყოფა. გარდა ამისა, გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების რეკომენდაცია წინაპირობებთან დაკავშირებით და დაემატა  დარგობრივი უცხო ენა; სამაგისტრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსებში შეიცვალა შეფასების ფორმები; პროგრამას დაემატა ახალი საგნები, კერძოდ: „ფინანსური რისკები და სადაზღვევო ბაზარი", თუმცა აქ არის რეკომენდაცია, რომელიც სტრუქტურისა და შინაარსის გადახედვას ითვალისწინებს. დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით, წინა რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული. მისი თქმით, ბიზნესის ადმინისტრირების მხრივ პროგრამა როგორც გლობალური მარკეტინგის, ისე ფინანსების კუთხით გაძლიერებულია. შესაბამისად, იგი დაინტერესდა ექსპერტების მოსაზრებით, თუ რომელი საგანი არ პასუხობს პროგრამის მიზანს, ან რომელია ამოსაღები.

ნინო პატარაიამ კი დააზუსტა, რომ იგულისხმებოდა ძალიან ბევრი საგნის წინაპირობა, რომელიც პროგრამაში არ არის გაწერილი, ასევე ერთ სემესტრშია შეთავაზებულია  გლობალური მარკეტინგი და შემდეგ ისწავლება მარკეტინგის მენეჯმენტი.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, თუ როგორია ექსპერტების შთაბეჭდილება, რამდენად გადის ამ სახით პროგრამა შედეგზე, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ პროგრამას შედეგებზე გასასვლელად ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება. გარდა ამისა, ყველა სილაბუსში მოცემულია შეფასების ერთი და იგივე სქემა, რაც აჩენს კითხვებს თუ რამდენად იყო პროგრამა ინდივიდუალურად პროფესორების მხრიდან შექმნილი.

ნინო ლიპარტიამ დაწესებულებას რჩევით მიმართა, რომ ლიტერატურა ძალიან ძველია, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კი შეუძლია ინგლისურენოვანი ლიტერატურის შერჩევა და დაძლევა. რაც შეეხება „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების" საგანს, მან აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ კონვენციები, ამიტომ, უმჯობესია აღნიშნული საგანი იურისტს წაეკითხა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:

☐ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

✓ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვა „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საბჭოს თავმჯდომარე — ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი — წინო ლიპარტია

სხდომის მდივანი — სალომე თოთიბაძე